

დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები ვაკანსიების მიხედვით

მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, 1 საშტატო ერთეული – მოეთხოვება გამოცდილება, ბუნებრივი და ადამიანური რესურსების კომპლექსური და რაციონალური გამოყენების პრობლემების კვლევის სფეროში, ასევე მნიშვნელოვანი გამოცდილება ინოვაციური ტექნოლოგიებისა და მათი კომერციალიზაციის, ასევე მეცნიერების ორგანიზაციისა და მართვის საკითხებში.

მიწის, წყლისა და ტყის რესურსების, მათი გამოყენებისა და ეკოლოგიის განყოფილებაში არსებული ვაკანსიები და მათ მიმართ წაყენებული დამატებითი მოთხოვნები

1. მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, 1 საშტატო ერთეული – მოეთხოვება გამოცდილება მიწის რესურსების შეფასების, მიწათმოწყობის, ეფექტიანობის გაზრდისა და მიწის რესურსების მართვის პრობლემების კვლევის სფეროში.
2. უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 1 საშტატო ერთეული – მოეთხოვება გამოცდილება ნიადაგების გენეზისის, კლასიფიკაციის, ნაყოფიერების ამაღლებისა და ნიადაგის დეგრადაციის პრობლემების კვლევის სფეროში.
3. უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 1 საშტატო ერთეული – მოეთხოვება გამოცდილება ტყეების ბიომრავალფეროვნების, მათი შენარჩუნების, აღდგენისა და დაცვის საკითხების კვლევის სფეროში.
4. უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 1 საშტატო ერთეული – მოეთხოვება გამოცდილება წყლის რესურსების შეფასების, დაცვისა და მიზნობრივად ოპტიმალური გამოყენების პრობლემების კვლევის სფეროში.
5. უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 0,5 საშტატო ერთეული – მოეთხოვება გამოცდილება წყლის რესურსების შეფასების, დაცვისა და მიზნობრივად ოპტიმალური გამოყენების პრობლემების კვლევის სფეროში. ასევე გის-ებთან მუშაობის გამოცდილება.
6. მეცნიერი თანამშრომელი, 1 საშტატო ერთეული – მოეთხოვება გამოცდილება მიწისა და წყლის რესურსების მართვის, შეფასების, დაცვისა და მიზნობრივად ოპტიმალური გამოყენების პრობლემების კვლევის სფეროში.

მინერალური და ენერგეტიკული რესურსებისა და მათი გამოყენების განყოფილებაში არსებული ვაკანსიები და მათ მიმართ წაყენებული დამატებითი მოთხოვნები

1. უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 1 საშტატო ერთეული – მოეთხოვება გამოცდილება საწვავ-სათბობ (ნავთობი, აირი, ნახშირი) რესურსების კვლევის სფეროში.

2. უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 1 საშტატო ერთეული – მოეთხოვება გამოცდილება მინერალური ნედლეულის გამდიდრების ტექნოლოგიური პროცესების კომპლექსური კვლევების სფეროში.
3. უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 0.5 საშტატო ერთეული – მოეთხოვება გამოცდილება სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავების პროცესების კვლევისა და მათემატიკური მოდელირების სფეროში.
4. უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 1 საშტატო ერთეული – მოეთხოვება გამოცდილება სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის, ენერგოდაზოგვისა და ენერგოდამზოგი ტექნოლოგიების კვლევის, ასევე ენერჯის ტრადიციული და არატრადიციული, განახლებადი ენერგორესურსების (მზე, ქარი, თერმული წყლები, ბიომასა) შესწავლის სფეროში.
5. უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 0.5 საშტატო ერთეული – მოეთხოვება გამოცდილება ენერჯის ტრადიციული და არატრადიციული, განახლებადი ენერგორესურსების (მზე, ქარი, თერმული წყლები, ბიომასა), ასევე ენერგოდაზოგვის პრობლემების კვლევის სფეროში.
6. უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 0.5 საშტატო ერთეული – მოეთხოვება გამოცდილება ბუნებრივი რესურსებისა და ბუნებათსარგებლობის ეკოლოგიური (მათ შორის რადიაციული) უსაფრთხოების, ბიომრავალფეროვნების დაცვისა და შენარჩუნების პრობლემების კვლევის სფეროში.
7. უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 0.5 საშტატო ერთეული – მოეთხოვება სამეცნიერო მუშაობის გამოცდილება სასარგებლო წიაღისეულის ეკონომიკის ან ბუნებათსარგებლობისა და ბუნებათდაცვითი პრობლემების კვლევის სფეროში.

ადამიანური და ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსებისა და ტურიზმის განყოფილებაში არსებული ვაკანსიები და მათ მიმართ

წაყენებული დამატებითი მოთხოვნები

1. უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 1 საშტატო ერთეული – მოეთხოვება ბუნებრივ-რეკრეაციული (მათ შორის საკურორტო) რესურსებისა და ტურიზმის სფეროში სისტემური და კომპლექსური კვლევების გამოცდილება.
2. უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 1 საშტატო ერთეული – მოეთხოვება გამოცდილება ადამიანური და შრომითი რესურსების სტატისტიკური და სოციალურ-ეკონომიკური შესწავლის, ეროვნული ეკონომიკის შრომითი რესურსებით უზრუნველყოფის საკითხების კვლევის, ქვეყნის დემოგრაფიული პოლიტიკის ღონისძიებათა შემუშავების სფეროებში.
3. მეცნიერი თანამშრომელი, 1 საშტატო ერთეული – მოეთხოვება გამოცდილება ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების ინფორმაციულ-ანალიტიკური კვლევის,

მონაცემთა ელექტრონული ბაზების შექმნისა და ქსელურ ინფორმაციულ წყაროებთან მუშაობის სფეროებში.

შენიშვნა: ცენტრის ყველა თანამდებობაზე კონკურსანტს გარდა ზემოაღნიშნულისა, მოეთხოვება შესაბამისი მიმართულებით მნიშვნელოვანი სამეცნიერო პუბლიკაციები და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის არანაკლებ 5 წლის სტაჟი, ასევე მონაცემთა ელექტრონულ ბაზებთან მუშაობის გამოცდილება.